

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილებების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ.

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

„იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისობაში მოყვანა „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

„ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტიდან გამომდინარე „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში „ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია“ შეიცვალა სიტყვებით „ტექნიკური და სამშენებლო ინსპექცია“.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება.

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები.

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობას, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება;

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე სახის გადასახადს ან მოსაკრებელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ვეროკავშირის დირექტივებთან
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ვეროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს
წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;
კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში
საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ
ხელშეკრულებებთან;
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ
ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება,
ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის
არსებობის შემთხვევაში;

კანონპროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით გამართულ სამუშაო შეხვედრებზე
მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მთავრობის კანცელარიის მმართველობისა და
ეკონომიკურ საკითხებში მრჩეველთა ჯგუფისა და ეკონომიკური განვითარების
სამინისტროს ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტის სპეციალისტებმა.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და
ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტების შეფასება.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი;

კანონპროექტის ავტორია – დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის
კომიტეტი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი;

კანონპროექტის ინიციატორია – დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის
კომიტეტი.